**შეთანხმების ოქმი №1**
**2016 წლის 09 დეკემბრის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.29/10/136-ის**
**დანართი**

**ქ. თბილისი** **21 დეკემბერი 2016 წელი**

ჩვენ ქვემო ხელისმომწერნი ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა** (შემდგომში "შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის **ირმა ზავრადაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს "ბაბიანი"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი ხელმძღვანელის **ანა ჭიქაბერიძეს** სახით ვაფორმებთ 2016 წლის 09 დეკემბრის №10.29/10/136 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართს:

ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებებლ ორგანიზაციას უნდა განეხორციელებინა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2016 წელს განხორციელებული პროექტების წლიური ანგარიშის 800 ცალი კატალოგის ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 22 დეკემბრის ჩათვლით.

ობიექტური მიზეზების გამო, კერძოდ გამომდინარე იქიდან, რომ წლის ბოლომდე მონაცემები ყოველდღიურად იცვლებოდა, კომპანიას ჟურნალში შესატანი მასალა ეტაპობრივად მიეწოდებოდა შემდგომი დამუსავებისტვის, რამაც გამოიწვია დაგვიანებით კატალოგის დასაბეჭდად ჩაშვება. მასთან ერთად ნაბეჭდ მასალას საბოლოო სახის მიღებამდე ესაჭიროება გაშრობა. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანსეწონილად მიგვაჩნია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა გაიზარდოს 2016 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

ამასთან დაკავშირებით გამგებლის მრჩეველს სალომე ფაშტიანს წარმოდგენილი აქვს 2016 წლის 21 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი №10-42/68536.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტისა და მე-15 მუხლის 15.4 პუნქტის საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2016 წლის 09 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული №10.29/10/136 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად – შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით

2. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

**ქ. თბილისის დიდუბის**
**რაიონის გამგეობა**
**გამგებელი**

**ირმა ზავრადაშვილი**

**შპს "ბაბიანი"-ს**
**დირექტორი**

**ანა ჭიქაბერიძე**

KA980107546915516

**№10-42/68536**

**21 / დეკემბერი / 2016 წ.**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის
რაიონის გამგებელს ქალბატონ ირმა
ზავრადაშვილს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დიდუბის
რაიონის გამგებლის მრჩეველის სალომე ფაშტიანის

## მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ირმა,
მოგახსენებთ, რომ შ.პ.ს „ბაბიანი“ ხელშეკრულებით (N10.29/10/136) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისთვის ამზადებს 2016 წელს განხორციელებული პროექტების წლიური ანგარიშისთვის 800 ცალ კატალოგს. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 22 დეკემბერი.

გამომდინარე იქიდან, რომ წლის ბოლომდე მონაცემები ყოველდღიურად იცვლება, კომპანიას ჟურნალში შესატანი მასალა ეტაპობრივად მიეწოდებოდა დასამუშავებლად, რამაც გამოიწვია კატალოგის საბეჭდად ჩაშვების დაგვიანება. დაბეჭდვის შემდგომ ნაბეჭდ მასალას საბოლოო სახის მიღებამდე სჭირდება გარკვეული დრო, რაც ჩვენი მიზეზების გამო ვერ ეტევა ხელშეკრულებით გათვალსიწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ კომპანიას შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა გაუგრძელდეს 26 დეკემბრის ჩათვლით.

გთხოვთ, განიხილოთ და დაავალოთ გამგეობის შესყიდვების ჯგუფს, მოამზადოს მასალები ხელშეკრულებაში ცვლილების შესატანად.

პატივისცემით,

გამგებლის მრჩეველი

სალომე ფაშტიანი